საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

06/10/2025

MES 2 25 0001370810

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის N526136 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, თუმცა, საბჭომ დააკორექტირა ერთ-ერთი რეკომენდაცია და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

"რეკომენდებულია, შედეგების შეფასებების კომპლექსური დიზაინის გაუმჯობესება შეფასების ინსტრუმენტების უფრო ფართო სპექტრის ინტეგრირებით, როგორიცაა შემთხვევის კვლევები, პროექტებზე დაფუძნებული დავალებები, ზეპირი პრეზენტაციები ან კვლევითი ნაშრომები, განსაკუთრებით იმ კურსებში, რომლებიც მიზნად ისახავს ანალიტიკური, კვლევითი ან კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას."

საბჭომ ასევე დამატებით დააკორექტირა შემდეგი რეკომენდაცია და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: "რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - ცირკულარული ეკონომიკა, ეკონომიკა, მწვანე ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება; გარემოსდაცვითი ინჟინერია; მდგრადი განვითარება, მდგრადი ბიოეკონომიკა - შეფასების ჩარჩოების გადახედვა პროექტებზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის კვლევების, კვლევითი დავალებების, პოლიტიკის

მოკლე მიმოხილვებისა და ზეპირი პრეზენტაციების დანერგვით, მაღალი მოსწრების შედეგების შესაფასებლად. რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგი მკაფიოდ შეესაბამებოდეს კონტექსტისთვის შესაფერის და ვალიდურ შეფასების მეთოდს."

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2032 წლის 1 მარტამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 06 ოქტომბრის სხდომის №1290405 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალური მექანიზმი და მათი ჩართულობა შესაბამისი დოკუმენტით იყოს წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ძირითადი დაინტერესებული მხარეების (მაგალითად, დამსაქმებლები, ინდუსტრიის ექსპერტები, კურსდამთავრებულები) რეგულარულ მონაწილეობას პროგრამის მიზნების შემუშავებისა და პერიოდული გადახედვის პროცესებში;

- რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საჭიროებების ან უნარების განვითარების კვლევების სისტემატური ანალიზის ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების განვითარება და პერიოდული მიმოხილვა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას;

- რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს ფორმალური პროცესი, რომელიც მოიცავს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და ინდუსტრიის ექსპერტების ჩართულობას სწავლის შედეგების გადახედვისა და შემუშავების პროცესში;

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში დოკუმენტურად აღირიცხოს და შეინახოს კონკრეტული მაგალითები, სხდომების ოქმები და კვლევის შედეგები თუ როგორ ახდენს გავლენას შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი საბოლოო სწავლის შედეგების ფორმირებაზე;

- რეკომენდებულია, შედეგების შეფასებების კომპლექსური დიზაინის გაუმჯობესება შეფასების ინსტრუმენტების უფრო ფართო სპექტრის ინტეგრირებით, როგორიცაა შემთხვევის კვლევები, პროექტებზე დაფუძნებული დავალებები, ზეპირი პრეზენტაციები ან კვლევითი ნაშრომები, განსაკუთრებით იმ კურსებში, რომლებიც მიზნად ისახავს ანალიტიკური, კვლევითი ან კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას;

- რეკომენდებულია, გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის პროცესების დოკუმენტირება, რომ მკაფიოდ განისაზღვროს და აღირიცხოს თუ როგორ ხდება დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და ინდუსტრიის პარტნიორებისგან უკუკავშირის შეგროვება (მაგ., გამოკითხვები, საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები) და მათი ინტეგრირება სწავლის შედეგების შეფასებასა და გადახედვაში;

- რეკომენდებულია, პროგრამის ეფექტიანი დაგეგმვისა და შემუშავების უზრუნველსაყოფად, აღდგეს პროცესი, რომელიც მოიცავს ფაკულტეტის მმართველი სტრუქტურების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხილვასა და დამტკიცებას, ფაკულტეტის საბჭოსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნით;

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება; გარემოსდაცვითი ინჟინერია; მდგრადი განვითარება, მდგრადი ბიოეკონომიკა - შეფასების ჩარჩოების გადახედვა პროექტებზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის კვლევების, კვლევითი დავალებების, პოლიტიკის მოკლე მიმოხილვებისა და ზეპირი პრეზენტაციების დანერგვით, მაღალი მოსწრების შედეგების შესაფასებლად. რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგი მკაფიოდ შეესაბამებოდეს კონტექსტისთვის შესაფერის და ვალიდურ შეფასების მეთოდს;

- რეკომენდებულია, განაახლოთ საკითხავი სიები. რეკომენდებულია, მოძველებული წყაროები შეიცვალოს ან შეივსოს თანამედროვე აკადემიური ლიტერატურით, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებითა და მოქმედი ეროვნული პოლიტიკებითა და კანონმდებლობით. მაგალითად, წაახალისეთ ინსტრუქტორები, გამოიყენონ ბოლო 5-10 წლის დარგობრივი ჟურნალების სტატიები და შემთხვევებისკვლევები;

- რეკომენდებულია, განისაზღვროს ქართული ენის ცოდნის დონე იმ კანდიდატებისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე;

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სპეციალობის საგამოცდო საკითხების თემატიკა და ლიტერატურა, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

- რეკომენდებულია, ტექსტურ ინფორმაციასთან ერთად, მაგისტრატურის დებულებაში ცხრილის სახით იყოს წარმოდგენილი შესაფასებელი კომპონენტების ქულების პროცენტული მაჩვენებლები; ტექსტის დამთხვევის ზედა ზღვარი ან მითითებული იყოს მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც სტუდენტს შეუძლია ამ ინფორმაციის წაკითხვა;

- რეკომენდებულია, რომ პლაგიატზე შემოწმების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია მაგისტრატურის დებულებით, გამოყენებული იქნას სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში;

- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებით განსაზღვრული მექანიზმის ეფექტიანი განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებას და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას;

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ხელმძღვანელებს მიაწოდოს მკაფიო, სტრუქტურირებული ინსტრუქცია და მუდმივად დაუჭიროს მხარი, რათა მათ განახორციელონ თანმიმდევრული ხელმძღვანელობა და აუმაღლონ სტუდენტებს ცნობიერება კვლევითიინსტრუმენტების, აკადემიური კეთილსინდისიერების და სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ;

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობის თანმიმდევრული განხორციელება და ამის თაობაზე გამჭვირვალე კომუნიკაცია;

- რეკომენდებულია, რომ, უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებისა და განვითარების მექანიზმების ეფექტური განხორციელებისთვის, მთის განვითარების ფაკულტეტმა (როგორც ძირითადმა საგანმანათლებლო ერთეულმა) ამ პროცესებში ჩართოს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიასევე ფაკულტეტის საბჭო;

- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გააფართოვოს და გააძლიეროს სამაგისტრო ნაშრომის პოტენციური ხელმძღვანელების შემადგენლობა და ეს საკითხი გათვალისწინებული იქნას სამომავლო აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დაქირავების პროცესებში;

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტისთვის, კონცეფციის დოკუმენტის შემუშავება. ამ დოკუმენტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ნაშრომის თემატური მიმართულებები და მეთოდოლოგიური მიდგომები, ასევე, ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები და კრიტერიუმები (მათ შორის, პროგრამაში მონაწილე სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა). ასეთი დოკუმენტის არსებობა მნიშვნელოვანია, ნაშრომის ხელმძღვანელების გამოცდილება და ექსპერტიზა შეესაბამებოდეს სამაგისტრო პროგრამის თემატურ არეალსა და მიზნებს, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად;

- რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის მიზნებისთვის, დაწესებულებამ პერსონალის მონაცემები შეაფასოს აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად — ანუ დაადასტუროს პერსონალის კვალიფიკაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების საფუძველზე;

- რეკომენდებულია, რომ, უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებისა და განვითარების მექანიზმების ეფექტური განხორციელებისთვის, მთის განვითარების ფაკულტეტმა (როგორც ძირითადმა საგანმანათლებლო ერთეულმა) ამ პროცესებში ჩართოს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე ფაკულტეტის საბჭო;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტები ხელს უწყობდეს ფაკულტეტის სტრუქტურული და ადმინისტრაციული კომპონენტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხორციელებას;

- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ გუნდსა და უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობის გაძლიერდეს, კერძოდ,

აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართვით ხარისხის მაჩვენებლების, შეფასების ინსტრუმენტებისა და შემდგომი ქმედებების განსაზღვრაში;

- რეკომენდებულია, მონიტორინგისა და მიმოხილვის ყოვლისმომცველი ჩარჩოს დანერგვა, რომელიც გასცდება ფრაგმენტულ პრაქტიკას და პროგრამის ეფექტურობის სტრატეგიულ შეფასებაზე იქნება ორიენტირებული. ეს უნდა მოიცავდეს მონაცემების სისტემატურ შეგროვებას და ინტეგრირებას - როგორიცაა სტუდენტების შეფასებები, კურსდამთავრებულთა შედეგები, კვლევის ხელმძღვანელობის უკუკავშირი და „ბენჩმარქინგის“ ანალიზი - ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან ჩარჩოში. შედეგად მიღებული ანალიზი პირდაპირ უნდა გამოიყენებოდეს სასწავლო გეგმის, სწავლებისა და პროგრამის სტრუქტურის მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაუმჯობესებისთვის, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესების უწყვეტობას, მიზანმიმართულობას და განვითარებას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 06 ოქტომბერს.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე